სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება N 50-300118-01

ქ. თბილისი 30 **იანვარი 2018 წ.**

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში გივი ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ტარიელ დავითაშვილი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო კომპანია საქნავთობს და ,,ფრონტერა“ რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნს“ (შემდგომში: ,,ფრონტერა“) შორის 1997 წლის 25 ივნისს გაფორმებული „პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ“ კონტრაქტის (შემდგომში: ,,პწგხ“) 13.1., 13.7. და 19.7. პუნქტების ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნისა და შემდგომში მათი (თარგნილ დოკუმენტზე თარჯიმნის ხელმოწერის) სანოტარო წესით დამოწმების უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (შემდეგში - „მომსახურება“) (CPV -79530000). ამასთან, თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი ,,შემსყიდველს“ უნდა ჩაბარდეს 3 ეგზემპლარად, დედნების სახით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

2.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.3.1. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაახმაუროს და მესამე პირებს არ გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნების/დოკუმენტაციის გადაცემის ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

2.3.2. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის შედეგად დადასტურდება შეუსაბამობა/კოლიზია ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებულ თარგმანსა და ,,შემსყიდველის“ მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო დავის ფარგლებში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ თარგმანს შორის (რის გამოც საჭირო იქნება თარჯიმნების ერთმანეთთან შეხვედრის ორგანიზება შეუსაბამობების მიზეზების გარკვევის მიზნით, ასევე თარჯიმნების დაკითხვა სასამართლოში), განახორციელოს წინამდებარე და 5.1.1. – 5.1.3. პუნქტებში მოცემული მოქმედებები;

2.3.3. გამოცხადდეს 5.1.2 და 5.1.3. პუნქტებით გათვალისწინებულ მიზნებში დაგეგმილ/დანიშნულ შეხვედრებზე/სხდომებზე, რომლის თარიღი „შემსყიდველის“ მიერ „მიმოწდებელს“ უნდა ეცნობოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით შესაბამისი შეხვედრის/სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს წინა სამუშაო დღისა;

2.3.4. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;

2.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო 2.3.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში - შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

3.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს პირადად „მიმწოდებლის“ მიერ. ნათარგმნი შესრულებული უნდა იყოს შესაბამისი ენობრივი სტანდარტების და ნორმების დაცვით, შინაარსობრივად, სტილისტურად და გრამატიკულად გამართული სახით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1 – 5.1.3 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ, ეტაპობრივად, მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.
3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული მომსახურების მიღებაზე.
3.5. შემსყიდველის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში მომსახურების მიწოდებისა და მიღების, ასევე ანგარიშსწორების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქნება.

4. მომსახურების ხარისხი
4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება
5.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 850 (რვაასორმოცდაათი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდებასთან (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადის, მოსაკრებლისა და გადასახდელის ჩათვლით), კერძოდ:
5.1.1. „პწგხ"-ს 13.1., 13.7. და 19.7. პუნქტების ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა და თარგმანის 3 ეგზემპლარის სანოტარო წესით დამოწმების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს;
5.1.2. „ფრონტერა" რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნის" მიერ წარმოდგენილი თარგმანის შემსრულებელთან (თარჯიმანთან) შეხვედრაში „მიმწოდებლის" მონაწილეობის საფასური შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს;
5.1.3. „ფრონტერა" რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნსა" და „შემსყიდველს" შორის მიმდინარე სასამართლო დავასთან დაკავშირებით, სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების და აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობის საფასური შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.
5.1.4. ხელშეკრულების 5.1.2. და 5.1.3. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული სატრანსპორტო ხარჯები „მიმწოდებელს" აუნაზღაურდება ფაქტიურად გაწეული და დოკუმენტალურად დადასტურებული ხარჯების მიხედვით, მაგრამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არაუმეტეს 50 ლარისა.
5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების შესაბამისი აქტ(ებ)ის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6. პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
6.2. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.3. მომსახურების გაწევის დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
6.4. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
6.5. მიმწოდებლის მიერ ხელშერულების შეწყვეტის და/ან ხელშეკრულების 5.1.1 – 5.1.3 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გაწევაზე უარის თქმის ან გაუწევლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს და/ან მომსახურების გაწევაზე უარს იტყვის ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გარემოებების საფუძველზე.
6.6. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, საქართველოს სამოქლაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.
6.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ მომსახურების კონტროლი.

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

8.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

8.3.2. შეამოწმოს მომსახურება მის მიღებამდე და უხარისხობის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე.

8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

8.4. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

12. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 224-40-40 / 224-40-41 ს/კ: 206237491 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001 დირექტორი ფინანსურ საკითხებში გ. ბახტაძე	ი/მ „ტარიელ დავითაშვილი“ მის: ქ.თბილისი, ტოლუჟის ქ. №5-7 ტელ: 593 67-40-54 ს/კ: 13001005296 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE28TB7573145161600002 იწდ. მეწარმე ტ. დავითაშვილი

ხელწერილი

30.01.2018 წ.

ხელშეკრულება N50-300118-01

ი/მ „ტარიელ დავითაშვილი“

ს/კ 13001005296

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, წინამდებარე ხელწერილის შედგენით ვადასტურებთ, რომ გავეცანით ხელშეკრულების პირობებს და ვეთანხმებით (ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში).

ასევე, ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

თამარ გურგენიძე _____

ვახტანგ ხელაძე _____

ლევან ენდელაძე _____

მერაბ დადუნაშვილი _____

ვაჟა ხიდაშელი _____